



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მუზარადა

მუზარადა (Scutellaria), მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი, იშვიათად – ერთწლოვანი ბალახები ან ბუჩქბალახებია. აქვთ მარტივი, ბენვით შებუსული მოპირისპირე ფოთლები, ჯამი ზარისებრი და ორტუნაა. ზედა ტუნს ზურგის მხარეზე სავარცხლისებური გამონაბარდი აქვს, გვირგვინს – გრძელი მილი და ორტუნა გადანალუნი. ზედა ტუჩი თითქმის ჩაჩისებურადაა (მუზარადივით) ჩაზნექილი.

მსოფლიოში 300-მდე სახეობაა გავრცელებული. საქართველოში გვხვდება 12 სახეობა, მათგან ერთი – *S. helenae* საქართვე. ენდემია. იზრდება ძირითადად კლდეებზე, ნაშალებზე, ქვიან ადგილებზე მთის ქვედა სარტყლიდან ალპურამდე. მ-ს მრავალი სახეობა დეკორატიულია.

**მ. ივანიშვილი**

---